საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირება

2022

სარჩევი

ზოგადიინფორმაცია 4

პროგრამისაღწერა 6

პროგრამისმიზანი 8

სწავლისშედეგები 9

კომპეტენციებისრუკა 10

კურსისმიზნებისსწავლისშედეგებთანშესაბამისობა 10

სასწავლოკურსებისსწავლისშედეგებთანშესაბამისობა 11

პროგრამისსტრუქტურა 12

სწავლებისორგანიზება 12

ზოგადიაღწერა 13

პროგრამაზედაშვებისწინაპირობები 26

სწავლება-სწავლისმეთოდები 27

შეფასებისსისტემა 38

შეფასებისკომპონენტები ..... Error! Bookmark not defined.

სწავლისგაგრძელებისშესაძლებლობა 42

პროგრამისდასაქმებისსფერო 43

პროგრამისპარტნიორები 44

პარტნიორი ეკონომიკური აგენტები ..... Error! Bookmark not defined.

საერთაშორისოპარნიორები ..... Error! Bookmark not defined.

პროგრამისინტერნაციონალიზაცია 45

საერთაშორისოგაცვლითი პროგრამები ..... Error! Bookmark not defined.

პროგრამისრესურსები 46

მატერიალურირესურსი 46

პროგამის აკადემიური კორპუსი 47

პრაქტიკულირესურსი ..... Error! Bookmark not defined.

პროგრამისსასწავლოგეგმა ..... Error! Bookmark not defined.

ზოგადიინფორმაცია

უმაღლესი განათლებისსაფეხური:	სამაგისტრო
მისანიჭებელიკვალიფიკაცია:	**ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი**
სწავლებისენა:	ქართული
სწავლისხანგრძლივობა:	**2** აკადემიური წელი 4 სემესტრი
პროგრამის მოცულობა:	120 კრედიტი /3000 ასტრონომიული საათი/
პროგრამის ხელმძღვანელი:	ალფრედო მოსკარდინი პროფესორი თეონა მაისურაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მისიაა:

შექმნას საერთაშორისოდ ცნობადი, სტუდენტსა და მის წარმატებაზე ორიენტირებული, თანამედროვე სტანდარტების მქონე აკადემიური გარემო, რომელიც სტიმულს აძლევს სწავლას, სწავლებასა და კვლევას, შესაბამისად, ყველას უქმნის საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზების შესაძლებლობას და ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კონკურენტუნარიან სპეციალისტებს შრომის ბაზრისათვის.

ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ღირებულებებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლების უზრუნველყოფა, ინოვაციური და მოქნილი მიდგომების გამოყენებას ტუდენტებისა და საზოგადოების სხვადასხვა საჭიროებისა და მოთხოვნის საპასუხოდ, მომავალი ტენდენციების განჭვრეტა და ხარისხის გაუმჯობესებაზე ფოკუსირება, სეუ-ს მუდმივიმიზანია.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ხედვაა:

იყოს პრესტიჟული და ღირებულებებზე დაფუძნებული უნივერსიტეტი, რომელიც ეყრდნობა რა პიროვნულ განვითარებას, ემსახურება საზოგადოებას მაღალი ხარისხის განათლებითა და კვლევით.



პროგრამის აღწერა

ჩვენი პროგრამის ხედვაა შევქმნათ ინკლუზიური საზოგადოება, რომელიც თავის თავს კომფორტულად გრძნობს და პატივს სცემს ყველა მოქალაქის ინტერესებს;
ჩვენი პროგრამის მისიაა უზრუნველყოს აქტიური სწავლის შესაძლებლობა და გამოიყენოს ახალი ტენდენციებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილება. მას არაქვს სწავლის წინაპირობა სტუდენტს არ მოეთხოვება ბიზნესის ან ეკონომიკის საბაკალავრო განათლება, პროგრამა ხელს უწყობს სიცოცხლის მანძილზე უწყვეტი სწავლის იდეას.
ჩვენი პროგრამის ღირებულებებია ოპერაციული სრულყოფილება და მუდმივი თვითგანვითარება, რომელიც აგებულია პატივისცემასა და თანასწორობაზე.
ჩვენი პროგრამის სტრუქტურა შედგება ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების და სამაგისტრო ნაშრომისაგან. ძირითადი სასწავლო კურსები დაფუძვნებულია სწავლის ორ საყრდენ მიმართულებაზე - ორგანიზაციული განვითარება და ოპერაციული სრულყოფილება. ყველა სასწავლო კურსი ეფუძნება სისტემური აზროვნების გამოყენებას. ძირითადი და/ან არჩევითი საგნები და სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება შესწავლილი იქნას ერთ-ერთ საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტში. სამაგისტრო ნაშრომი რეალურ პრობლემას გადაჭრის და კომპანიაზე იქნება დაფუძნებული.
ჩვენი პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია კონცენტრირებულია კრიტიკულ აზროვნებასა და დამოუკიდებელ სწავლაზე, რაც სწავლის მეტ პასუხისმგებლობას სტუდენტს აკისრებს. მოსწავლეებს მოუწოდებთ ერთად იმუშაონ და ასევე ვთავაზობთ ერთობლივ შეფასების კომპონენტებსაც. ყველა საგანი იქნება გამყარებული დარგის ექსპერტების სტატიებითა და ვიდეოებით.

მსოფლიო არაპროგნოზირებადი და ქაოტური გარემოს წინაშეა. იგი საჭიროა გაუმკლავდეს ისეთ პრობლემებს რომელთა გადასაჭრელად განსხვავებული აზროვნებაა საჭირო რადგან მათ გადასაჭრელად არ არსებობს კონკრეტული გზა. საზოგადოება ღელავს ბუნებრივი რესურსების ამოწურვის, მოზღვავებული პოლიტიკური

დაძაბულობის, მდიდრებსა და ღარიბებს შორის სწრაფად მზარდი უფსკრულისა და მუშახელის გაზრდილი უკმაყოფილების გამო.უამრავი სერიოზული პრობლემაა რომელიც საჭიროებს ცვლილებას, რაც, რა თქმა უნდა, ერთ დღეში ვერ მოხდება. თუმცა, ჩვენი ღრმა რწმენით, ურთიერთანამშრომლობითა და შეცვლილი ღირებულებებით აღნიშნული შესაძლებელია. აუცილებელია საჭირო „დღის წესრიგის“ შექმნა და სხვებზე დადებითი შთაგონების მოხდენის უნარის მქონე მენეჯერთა ახალი თაობის აღზრდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური წინსვლა მმართველობის სტილმა ამ ცვლილებებს ფეხი ვერ აუწყო. დღესდღეობის პრობლემებია გლობალიზაციის გამო, გამოიყენება არაეფექტურია მართვისტექნიკა, მოძველებულია ორგანიზაციული სტრუქტურები დამონაცემთა მართვა.ასევე არ არის გათვალისწინებული მომავალი თაობის (Gen Z) მოთხოვნილებებიდა მოლოდინებიგანსაკუთრებით ენერგიისა და კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში.

სეუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ხსენებული პრობლემების საპასუხოდ სრულიად ახალი ტიპის მენეჯერს აღზრდის, რომელიც აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან ერთად დამოუკიდებელი აზროვნების უნარით იქნება გამორჩეული, ეცდება გააუმჯობესოს მისი საქმიანობა და მიისწრაფის სრულყოფილებისკენ.

პროგრამის მიზანი

პროგრამის ამოცანები: სეუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა აღზრდის ახალი ტიპის მენეჯერს:

ამის მიღწევა შესაბამისი მიზნებითაა შესაძლებელი

1. ახალი ტიპის მენეჯერი, რომელიც მხოლოდ ვიწრო სპეციალობით არ ხასიათდება და ურთიერთდაკავშირებული პრობლემების აღქმის უნარიც გააჩნია. მენეჯერი, რომელსაც პრობლემების სისტემური იდენტიფიცირების, რაოდენობრივი მონაცემების გააზრებისა და შეფასების, სიტუაციის კრიტიკული ანალიზის, გეგმების შემუშავება-განხოციელების, თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკის ცოდნის გამოყენებისა და პრობლემების გადაჭრის უნარი შესწევს.
2. ახალი ტიპის მენეჯერი, რომელიც გათვითცნობიერებულია 21-ე საუკუნეში მსოფლიო მასშტაბით ოპერირებისა და კომუნიკაციის გზებში და რომელსაც შესწევს უნარი გაუმკლავდეს არსებულ ეკოსისტემებთან, გარემოსთან და სოციალურ განზომილებებთან დაკავშირებულ ისეთ გამოწვევებს, რომლის წინაშე ყველა ორგანიზაცია შეიძლება აღმოჩნდეს.
3. ახალი ტიპის მენეჯერი, რომელიც მუშახელის მისწრაფებებსა და ფუნქციონირების სტილში მომხდარ ცვლილებებს იაზრებს, რაც სხვებთან მუდმივი კომუნიკაციის საშუალებით ფასეულობაზე დაფუძნებულ ახალ სამუშაო გარემოს გულისმხმობს. აღნიშნული, ადამიანზე ორინტირებული ახალი ტიპის მმართველობას საჭიროებს.
4. ახალი ტიპის მენეჯერი, რომელიც უწყვეტი განათლების პრინციპს იზიარებს და მუდმივ გაუმჯობესებასა და სრულყოფილებაზეა მომართული.

სწავლისშედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შედმეგი სახის უნარებით იქნება აღჭურვილი:

1. აზროვნებს სისტემურად, უშვებს ყველა პრობლემის ურთიერთკავშირის შესაძლებლობას და ერთ რომელიმე პრობლემას ცალკე არ გამოყოფს;
2. იცნობს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა მიდგომებს და შეარჩევს პრობლემისათვის შესაფერის გადაჭრის ტექნიკას;
3. ახალი ბიზნეს შესაძლებლობების აღმოჩენის, კვლევისა და შესწავლის მიზნით აანალიზებს გლობალურ და საბაზრო ტენდენციებს გლობალური ეკოსისტემის, წარმოების მიმართულებების, მიწოდებისა და ვაჭრობის მიმართულებით.
4. გადაჭრის ყოველდღიურ სამუშაო პრობლემებს, ხელს უწყობს ოპერაციული სრულყოფილების მიღწევას, იყენებს შეფასების სხვადასხვა ინდიკატორებს და ახორციელებს ორგანიზაციულ ცვლილებებს;
5. შეიმუშავებს და ახორციელებს ბიზნესის განვითარების სტრატეგიას რათა მიაღწიოს ოპერაციული სრულყოფილებას, გაზარდოს კომუნიკაცის ხარისხი, მოახდინოს ადამიანური რესურსების ოპტიმალური გამოყენება და გააუმჯობესოს ორგანიზაციის პოზიცია ბაზარზე;
6. შეიმუშავებს და ავითარებს სტრატეგიულ პროცედურებს და პოლიტიკას, თვალყურს ადევნებს საკანონმდებლო ცვლილებებს, აანალიზებს გარე მოხმარების დოკუმენტაციას, ეძებს ოპერაციების, კომუნიკაციისა და პარტნიორობის გაუმჯობესების გზებს;
7. იყენებს და განმარტავს შეფასების სხვადასხვა ინდიკატორებს, აფასებს თანამშომელთა მორალურ მდგომარეობას, ამზადებს გუნდს დაგეგმილი და უწყვეტი ცვლილებისათვის, უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩართულობას და მიუთითებს მათ პროფესიული განვითარების შესაძლებლობეზე;
8. იყენებს კორპორატიული კულტურისთვის აუცილებელი მართვის ახლებურ სტილს;
9. ესმის ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების მნიშვნელობა;
10. ზრუნავს მუდმივ თვითგანვითარებაზე.

კომპეტენციებისრუკა

კურსის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

სწავლის შედეგები / პროგრამის მიზნები		სწავლის შედეგები ნუმერაციის მიხედვით									
		LO1	LO2	LO3	LO4	LO5	LO6	LO7	LO8	LO9	L10
I	მიზანი ერთი: პრობლემის გადაჭრა	√	√	√	√	√	√	√	√		√
II	მიზანი ორი:გარემო	√	√	√	√	√			√		
III	მიზანი სამი:ადამიანები	√			√	√	√	√	√	√	√
IV	მიზანი ოთხი: სიცოცხლის მანძირზე სწავლა	√	√	√		√	√	√	√	√	√

LO1 – სისტემური ხედვა

LO2 – პრობლემების გადაჭრის ტექნიკა

LO3 – გლობალური და საბაზრო ტენდენციები

LO4 – ყოველდღიური ოპერაციები

LO5 – ზრდის სტრატეგია

LO6 – პროცედურები და პოლიტიკა

LO7 – შსრულების ინდიკატორები

LO8 – ლიდერობის სტილი

L09 - ცხოვრების მანძილზე სწავლა

L10 – თვითგანვითარება

სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

სწავლის შედეგები / ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები		სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით									
		LO1	LO2	LO3	LO4	LO5	LO6	LO7	LO8	LO9	L10
I	სისტემური აზროვნება	√	√	√	√	√	√	√	√	√	√
II	ორგანიზაციული განვითარება	√	√	√	√	√	√	√	√		√
III	ცოდნის მართვა		√	√	√	√			√	√	√
IV	გადაწყვეტილებების მიღება	√	√		√	√	√	√		√	√
V	მენეჯერული ეკონომიკა	√	√	√		√					√
VI	კვლევის მეთოდოლოგია	√	√	√		√					√
VII	ოპერაციული სრულყოფილება	√	√	√	√	√	√	√	√	√	√
VIII	მწვანე დღის წესრიგი		√	√		√		√	√		√
IX	ლიდერობა და სტრატეგია	√	√	√	√	√	√	√	√	√	√
X	პროექტების კონსულტირება და განხორციელება		√		√			√			√
XI	საინვესტიციო პროცესის ანალიზი	√	√	√		√		√			
XII	გაყიდვებისა და მარკეტინგის მართვა		√	√	√	√	√	√			
XIII	სამაგისტრო ნაშრომი	√	√	√	√	√	√	√	√	√	√

პროგრამისსტრუქტურა

სასწავლო კომპონენტი **სავალდებულო კურსები**

- სავალდებულო კურსები - 60 ECTS
- კურსები რომლებიც აყალიბებს ძირითად კომპეტენციებს

სასწავლო კომპონენტი **არჩევითი კურსები**

- არჩევითი კურსები - 20 ECTS
- სთავაზობს კონკრეტული დისციპლინის შესწავლის საშუალებას

სასწავლო კომპონენტი **თავისუფალი კომპონენტი**

- თავისუფალი კომპონენტი - 10 ECTS
- უნივერსიტეტში ან პარტნიორ უნივერსიტეტებში არსებული ნებისმიერი პროგრამებიდან

●

კვლევითი კომპონენტი **სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS წერითი დავალება დამოუკიდებლად შესრულებული სტუდენტის მიერ**

სწავლებისორგანიზება

	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სულსათები	დაშვების წინაპირობა	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა						კრედიტების სემესტრული განაწილება			
					ლექცია	პრაქტიკული ან	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულსაკონტაქტო	დამოუკიდებელი მუშაობა	I	II	III	IV
ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსები														
N	**სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები**	**60**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა**								I	II	III	IV
											28	**32**	**30**	**30**
1.	სისტემური აზროვნება	6	150	არ აქვს	13	26	2	3	44	106	**6**			
2.	ორგანიზაციული განვითარება	6	150	არ აქვს	14	26	2	3	45	105	**6**			
3.	ცოდნის მართვა	4	100	არ აქვს	13	22	2	3	40	60	**4**			
4.	გადაწყვეტილებების მიღება	4	100	არ აქვს	13	25	2	3	43	57	**4**			
5.	მენეჯერული ეკონომიკა	4	100	არ აქვს	13	26	2	3	44	56	**4**			

6.	კვლევის მეთოდოლოგია	4	100	არ აქვს	13	24	3	3	43	57	**4**			
7.	ოპერაციული სრულყოფილება	6	150	ორგანიზაციული განვითარება	14	29	2	3	48	102		**6**		
8.	მწვანე დღის წესრიგი	4	100	არ აქვს	13	19	2	3	37	63		**4**		
9.	ლიდერობა და სტრატეგია	6	150	არ აქვს	13	25	2	3	43	107		**6**		
10.	პროექტების კონსულტირება და განხორციელება	8	200	კვლევის მეთოდოლოგია	26	26	2	3	57	143		**8**		
11.	საინვესტიციო პროცესის ანალიზი	4	100	არ აქვს	10	26	2	3	41	69		**4**		
12.	გაყიდვებისა და მარკეტინგის მართვა	4	100	არ აქვს	13	20	2	3	38	62		**4**		
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	**20**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა**								**I**	**II**	**III**	**IV**
													20	
არჩევითი კურსები მენეჯმენტის მიმართულებით:														
13.	კორპორაციული მდგრადობის სტრატეგია ბიზნესისათვის	4	100	არ აქვს	26	13	2	3	44	56			4	
14.	საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა	4	100	არ აქვს	13	14	2	3	32	68			4	
15.	ბრენდის მართვა	4	100	არ აქვს	13	14	2	3	32	68			4	
16.	ინოვაციები და ახალი პროდუქტის მართვა	6	150	არ აქვს	10	36	2	3	51	99			6	

არჩევითი კურსები ადმინისტრირების მიმართულებით														
17.	რესურსების დაგეგმვა ERP მოდელები	**4**	**100**	არ აქვს	13	13	2	3	31	69			4	
18.	ღონისძიებათა მართვა	**4**	**100**	არ აქვს	13	14	2	3	32	68			4	
19.	ექვსი სიგმა მწვანე ქამარი	4	100	არ აქვს	14	21	2	3	40	60			4	
არჩევითი კურსები ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მიმართულებით														
20.	პერსონალის შერჩევის მეთოდები	6	150	არ აქვს	14	24	2	3	43	107			6	
21.	ტრანსფორმაციული ქოუჩინგი	6	150	არ აქვს	14	12	2	3	31	119			6	
22.	შესრულების (შედეგიანობის) მართვა და კონტროლი	6	150	არ აქვს	14	12	2	3	31	119			6	
არჩევითი კურსები სამართლის მიმართულებით														
23.	კორპორაციული მართვა	5	125	არ აქვს	13	12	2	3	30	95			5	
24.	ბიზნეს დავები და სასამართლო პრაქტიკა	5	125	არ აქვს	13	12	2	3	30	95			5	
25.	საერთაშორისო სავაჭრო სამართალი	5	125	არ აქვს	14	25	2	3	44	81			5	
26.	ენერგიის სამართლის ევროპეიზაცია და კლიმატის ცვლილება	5	125	არ აქვს	13	12	2	3	30	95			5	
არჩევითი კურსები ფინანსების მიმართულებით														

27.	საერთაშორისო ფინანსები	6	150	არ აქვს	13	26	2	3	44	106			6	
28.	სადაზღვეო სისტემა და რეგულაციები	6	150	არ აქვს	13	26	2	3	44	106			6	
29.	საერთაშორისო საგადასახადო საქმის პრინციპები	6	150	არ აქვს	13	26	3	3	45	105			6	
30.	ბლოქჩეინ ტექნოლოგია თანამედროვე საწარმოში	4	100	არ აქვს	12	14	2	3	31	69			4	
პრაქტიკული არჩევითი კურსები კოორდინირედული სამეწარმეო ცენტრთან														
31.	მომხმარებელის მომსახურების პრაქტიკული კურსი	2	50	არ აქვს	5	10		3	18	32			2	
32.	კარიერის მართვის პრაქტიკული კურსი	2	50	არ აქვს	5	14		2	21	29			2	
33.	ციფრული მარკეტინგის პრაქტიკული კურსი	2	50	არ აქვს	10	10		2	22	28			2	
34.	დროის მართვის პრაქტიკული კურსი	2	50	არ აქვს	5	8		2	15	35			2	
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**	**შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა**								**I**	**II**	**III**	**IV**
														30
35.	სამაგისტრო ნაშრომი	**30**	**750**	პროგრამის სავალდებულო საგნები										30
	თავისუფალი კომპონენტი	**10**	**ნებისმიერი დაწესებულებაში ან პარტნირ უნივერსიტეტში არსებული კურსებიდან**								**I**	**II**	**III**	**IV**

	ნებისმიერი კურსი	10	250										10	
	სულ	**120**									**28**	**32**	**30**	**30**

ზოგადიდიზაინი

მზე	სრულყოფილება
თვითადაპტირებადი სისტემა	
ღერო	პროგრამის სტრუქტურა
ფოთლებ	პერსონალი
სასუქი	სწავლის მეთოდები
ფესვები	პროგრამის
ნიადაგი	სისტემური

სამაგისტრო პროგრამა შექმნილია როგორც ორგანული ერთეული, რომელიც გაიზრდება და ისწავლის. ამ მიზეზით თვალსაჩინოდ მზესუმზირა ავირჩიეთ. მზესუმზირა ყოველთვის მზეს ეფიცხება. ჩვენი "მზე" წარმოადგენს "სრულყოფილებას". ამრიგად ჩვენ ვისურვებთ რომ ჩვენი სამაგისტრო პროგრამა მიმართული იყოს სრულყოფილებისაკენ. ჩვენი პროგრამა და მისი თითოეული კომპონენტი ყოველთვის სრულყოფილებისკენ იქნება მიმართული და როგორც სრულყოფილების კონცეფცია იხვეწება, ასევე განვითარდება ჩვენი პროგრამაც. ჩვენი სამაგისტრო პროგრამა ადაპტაციის უნარის მქონე სისტემაა.

გასაზრდელად მზესუმზირას ნაყოფიერი ნიადაგი, ღრმა ფესვები და ფოთლოვანი ძლიერი ღერო სჭირდება.

ჩვენი „ნიადაგი“ არის „სისტემური აზროვნება“ რომელიც იძლევა გლობალური პრობლემების გადასაჭრელად კრეატიული მეთოდების ძიებას.

მზესუმზირის ფოთლები იჭერს მზის სხივებს და ფოტოსინთეზის საშუალებით უზრუნველყოფს ენერგიას ზრდისათვის, რომელსაც ჩვენი პერსონალი წარმოადგენს. ენთუზიაზმითა და საერთო ღირებულებებით ჩვენი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩამოაყალიბებს უწყვეტი სწავლის კულტურას.

ღერო წარმოადგენს არხს, რისი მეშვეობითაც საკვები ნივთიერებები ტრანსპორტირდება. ჩვენი ღერო არის ჩვენი უნიკალური დიზაინი, სადაც ყველა კომპონენტი მუშაობს გუნდურად და წვლილი შეაქვს საერთო მიზანში.

ზოგჯერ შეიძლება საჭირო გახდეს სასუქი (ან წვიმა), რომელიც წარმოადგენს ჩვენს სწავლებისა და შეფასების მეთოდების მრავალფეროვნებას. ჩვენ გვჯერა, რომ დავთესეთ თესლი, რომელიც აყვავდება და დაეხმარება საქართველოს უზრუნველყოს იგი 21-ე საუკუნისათვის საჭირო მენეჯერებით.

პროგრამის დიზაინში სიახლე გახლავთ თვით პროგრამა რომელიც აგებულია „სასწავლო ორგანიზაციის“ პრინციპით, სადაც გადაწყვეტილების მიმღები გუნდი, ტოპ მენეჯერები, აკადემიურ პერსონალი, სტუდენტები და ბიზნესმენები ერთობლივად არიან ჩართულები ღირეული ცოდნის შექმნაში. სასწავლო ორგანიზაცია კონცენტრირებულია მის ყველა წევრს შორის საერთო ხედვის განვითარებაზე - ჩვენს შემთხვევაში, ეს არის სრულყოფილებისკენ სწრაფვა. ის ხელს უწყობს გონებრივი მოდელების გაზიარებას, ასევე წევრების ინდივიდუალური უნარების დახვეწას. აქედან გამომდინარე ჩვენი პროგრამა აქტიურად უწყობს ხელს გუნდურ სწავლებას. პროგრამის მსვლელობისას შეიქმნება ცოდნის საცავი, სადაც არსებული ცოდნა შეინახება ყველა პერსონალის წვდომისთვის. ახალად შექმნილი ცოდნა და პრაქტიკა ასევე შეინახება ამ საცავ ბაზაში. ამრიგად, SEU სამაგისტრო პროგრამას ექნება ცოდნის მართვის საკუთარი სისტემა, სადაც მიღებული ცოდნა და ინოვაცია გადაიცემა და დაინერგება პროგრამის სტრუქტურაში. თუ გუნდის წევრები შეიცვლებიან ან დატოვებენ პროგრამას, ცოდნა დარჩება და კულტურა გავრცელდება. ამ გზით, პროგრამა შეინარჩუნებს თავის იდენტობას და შეძლებს "გაზრდას". სწორედ ამიტომ მას ვუწოდებთ ორგანულს. სამაგისტრო პროგრამა შექმნილია „სასწავლო ორგანიზაციის“ მოდელით, რომელიც ხაზს უსვამს მის გამორჩეულ, უნიკალურ იდენტობას.

სასწავლო ორგანიზაციის გასამყარებლად ჩატარდება ორ დღიანი ყოველწლიური საორიენტაციო შეხვედრა სასწავლო წლის დაწყებამდე. შეხვედრაზე დასწრება პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სავალდებულო იქნება. საორიენტაციო შეხვედრა გააძლიერებს სამაგისტრო პროგრამის ხედვას და შეახსენებს პერსონალს თუ როგორ არიან ისინი უნიკალური გუნდის ნაწილი. პერსონალი კიდევ ერთხელ ერთად გაივლის საკუთარ კურსებს; აღმოაჩენს სად და როგორ ავსებენ კურსები ერთმანეთს. პროგრამა ასევე განიხილავს სტუდენტების უკუკავშირს და სწავლების ან შეფასების ნებისმიერ პრობლემას. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სავალდებულო იქნება. თითოეულ საორიენტაციო შეხვედრას ექნება თემა, რომელიც დაკავშირებული იქნება სამაგისტრო პროგრამასთან და სადაც ეს შესაძლებელია, მოწვეულნი იქნებიან ექსპერტები უახლესი პრაქტიკის გასავრცელებლად. ეს საორიენტაციო შეხვედრა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, სიახლეს და მოქნილობას.

ჩვენი პროგრამის სტრუქტურა და პროფილი თამაედროვე სამყაროს ოპერირების პრაქტიკასთან სრულ თანხვედრაშია. პროგრამის სტრუქტურა ძირითადი კომპონენტების, არჩევითი კურსებისა და სამაგისტრო ნაშრომის სახით მოცემული კვლევითი პროექტისგან შედგება.

სისტემური აზროვნება განიხილება, როგორც მეხუთე დისციპლინა „სასწავლო ორგანიზაცის“ მოდელში რადგან ის საფუძვლად უდევს დანარჩენ ოთხ დისციპლინას, რომლებიცაა: საერთო ხედვა, პიროვნული ოსტატობა/სრულყოფილება, გონებრივი მოდელები და გუნდის შექმნა. ის ხაზს უსვამს ურთიერთობებს და ხელს უწყობს ახალი იდეების დაბადებას. სრული პროგრამა მეტია, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი. (კურსები, პერსონალი) ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი დაესწრება სისტემური აზროვნების მოკლე კურსს, რათა მოხდეს სისტემური აზროვნებით მიდგომების გამყარება თითოეული კურსისათვის. აკადემიური და მოწვეული პერსონალი განიხილავს, თუ როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს სისტემური აზროვნების დავალებების უკეთ გააზრებასა და შესრულებაში. პროგრამის ფუნქციონირების დაწყებისთანავე, სტუდენტების უკუკავშირი ასევე სკრუპულოზურად განიხილება და ნებისმიერი ხარვეზი იქნება აღიარებული და გამოსწორებული.

- **სისტემური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება**

თანამედროვე საქმიანი სამყარო გლობალური, ურთიერთგადაჯაჭვული და კომპლექსურია. თანმდევ პრობლემებთან გასამკლავებლად, მეცნიერების მიერ (წარმატებით) ნაცადი დეტერმინისტული, ლოგიკური და ანალიტიკური მიდგომების გარდა, აზროვნების ახლებური გზების ძიებაც აუცილებელია.წინამდებარე კურსი აზროვნების სხვადასხვა გზებს ეძიებს და დღევანდელი პრობლემების გადაჭრის გზად „სისტემურ აზროვნებას“ აქტიურად განიხილავს, რომელშიც სამი ძირითადი სისტემური მეთოდოლოგია იკვეთება, ესენია: რბილი სისტემური მეთოდოლოგია, სისტემური დინამიკა და ეფექტური სისტემური მეთოდოლოგია. კურსის მიზანს ნებისმიერი პრობლემის მიმართ ფართო ჭრილში აზროვნების და სათანადო ინსტრუმენტის გამოყენების მხარდაჭერა წარმოადგენს. ასეთი აზროვნების ჩამოსაყალიბებ;ად კი საჭიროა სტუდენტმა კარგად გაიაზროს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, ამიტომ გადაწყვეტილების მიღების კურსი ავსებს სისტემური აზროვნების კურსს. ეს ეხმარება სტუდენტებს გაიგონ და გადალახონ ფსიქოლოგიური და კულტურული დაბრკოლებები გადაწყვეტილების მიღებისას. ის იკვლევს მიკერძოებებს და აჩვენებს გზებს, თუ როგორ უნდა დაძლიოთ ისინი. ეს ორი კურსი ამზადებს სტუდენტის გონებას სწორი აზროვნებისა და კარგი გადაწყვეტილების მისაღებად.

- **ორგანიზაციული განვითარება და ცოდნის მართვა**

ტექნოლოგიებისა და საოპერაციო პრაქტიკის მიღწევები დიდ მოთხოვნებს აყენებს კომპანიის გადარჩენის უნარზე. ორგანიზაციული განვითარების კურსის მესიჯი არის ის, რომ კომპანიის კულტურა დიდად არის დამოკიდებული მის სტრუქტურაზე, ანუ ორგანიზაციული

დიზაინი არის მთავარი განმსაზღვრელი მისი ოპერაციულიეფექტურობისა. კომპანიის, როგორც ურთიერთდაკავშირებულ სისტემად აღქმასულ უფრო ხშირი პრაქტიკაა და ამ ახალი მიდგომის საფუძველზე ხორციელდება ორგანიზაციის მართვის. ცოდნის შეგროვება, შენახვა და ინტერპრეტაცია გადამწყვეტია კომპანიის ან კორპორაციის საოპერაციო სრულყოფილებისთვის, სწორედ ამიტომ საჭიროა ცოდნის მართვის კურსი, რომელიც იკვლევს ამ საკითხებს. მნიშვნელოვანია ცოდნის ჩანერგვა თავად ინსტიტუციაში, რომელსაც - სასწავლო ორგანიზაციას ვუწოდებთ. ამდაგვარად ორგანიზაცია დაცულია ინდივიდუალური მუშაკების ძალაუფლებისგან, რომლებსაც შეუძლიათ გააკონტროლონ ცოდნის ძირითადი სფეროები. ცოდნის მართვის ელემენტების ცოდნა ხელს უწყობს ურთიერთგაზიარების კულტურის ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს გუნდური მუშაობის შესაძლებლობებს, ისევე როგორც პიროვნული მიღწევების წახალისებას. ის ასევე მიზნად ისახავს საერთო მენტალური სიკეთის შექმნასა და კომპანიის ხედვის გაზიარებას.

- **მენეჯერული ეკონომიკა და კვლევის მეთოდოლოგია**

ჩვენ გვესმის, რომ ჩვენს სტუდენტებს შეიძლება არ ჰქონდეთ ცოდნის ბაზა ბიზნესში ან ეკონომიკაში, მათი ბაკალავრის საფუძველზე, ასე რომ, მენეჯერული ეკონომიკის კურსი არის სპეციალურად შემუშავებული კურსი, რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაბამის ეკონომიკურ ბაზას, რაც აუცილებელია სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კურსების ასათვისებლად. ეს კურსი სთავაზობს ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, რომლებიც საჭიროა მონაცემთა ანალიზისთვის. კურსი ასევე მოიცავს გამოყენებითი ეკონომიკური თეორებსა და პრაქტიკას მენეჯერებისთვის და საერთაშორისო ვაჭრობის ასპექტებს და მათ რეგულაციებს. კვლევის მეთოდოლოგიის კურსი საფუძველს უქმნის დაამყარებს კვლევის მეთოდების კურსს. კვლევის მეთოდოლოგიის კურსი მოიცავს ორ მიმართულებას, აკადემიურ კვლევას (რომელიც ამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად) და გამოყენებითი კვლევა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიკვლიონ პრობლემები, რომლებიც უნდა გადაწყდეს კომპანიის კონტექსტში.

- **ორგანიზაციული განვითარება და ოპერაციული სრულყოფილება**

პროგრამა სწავლების პროცესში იყენებს უახლეს ტექნოლოგიებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ბიზნესს ჯერ კიდევ ადამიანები მართავენ და არა რობოტები და, შესაბამისად, საჭიროა აზროვნების ახალი გზა, რომელიც ხედავს დიდ სურათს, არის კრეატიული და მოქნილი და მოიაზრებს უკუკავშირს და ზრდას. საყრდენი კურსები სწავლის პირველ წელს გახლავთ ორგანიზაციულიგანვითარება და ოპერაციულისრულყოფილება, დაფუძნებულს უახლეს ბიზნეს პრაქტიკებზე მთელი მსოფლიოდან. ჩვენი პროგრამა

ცვლილებებსგარდაუვალად მიიჩნევს, ის არ ცდილობს აღმოფხვრას, მაგრამ მზადააგანიხილოს მათთან გამკლავების გზები, ამიტომ ყველა ძირითადი კურსი მოიცავს ცვლილებების მართვისა და განხორციელების ასპექტებს.მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციული განვითარება აანალიზებს სტრუქტურას, რომელიც განაპირობებს ქცევას, ოპერაციული სრულყოფილება გვთავაზობს კარგად ჩამოყალიბებულ მიმართულებებს სრულყოფილებისკენ, რომლებიც წარმატებული იყო წამყვან კომპანიებთან. კურსი ადგენს შესრულების ზომებს და ინდიკატორებს ისე, რომ ცვლილება ცვლილებებისკენ კარგად იყოს გაგებული და გაზომილი და განხორციელდეს მოცემულ ორგანიზაციაში ადამიანების ჩართულობისას, რადგან ცვლილება იწყება აზროვნების ცვლილებით.

- **ცოდნის მართვა, ლიდერობა და სტრატეგია და მწვანე დღის წესრიგი**

ცოდნის მართვის და ლიდერობისა და სტრატეგიის კურსები სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაითავისონ ორგანიზაციული მეხსიერების ჩარჩო და ჩამოაყალიბონ სასწავლო ორგანიზაციები, ხოლო სტრატეგიის კურსის ნაწილში კი ჩააშენონს ეს პრინციპები ბიზნეს სტრატეგიაში საჭირო ხარისხითა და ხელმძღვანელობის ჩართულობით. მწვანე დღის წესრიგი პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ასწავლის სტუდენტებს, როგორ შეაფასონ კომპანიის კვალი და მოარგონ ოპერაციები მწვანე ეკონომიკაში ინვესტირების საზღვრებისა და ალტერნატივების შესაფასებლად, ეს კი მხოლოდ ცნობიერების დონეზე თუ დაინერგება, სწორი სტრატეგიული დაგეგმვითა და განხორციელებით.

- **კვლევა და კონსულტაცია და პროექტების განხორციელება - სამაგისტრო ნაშრომი**

ვინაიდან კვლევის მეთოდოლოგიის კურსი ასწავლის სტუდენტებს, თუ როგორ უნდა ჩაატაროს როგორც აკადემიური, ასევე გამოყენებითი კვლევა არსებული კომპანიის პრობლემის გადასაჭრელად, კურსი კონსულტაციისა და პროექტების განხორციელება არის ცალსახად პრაქტიკული კურსი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს ისწავლოს პრაქტიკიდან ფაქტობრივი ბიზნესთან რეალური პროექტის განხორციელებით. ეს კურსი არის კვლევის მეთოდოლოგიის კურსის გაგრძელება, რომელიც აკავშირებს სტუდენტს რეალურ ბიზნეს პროექტებთან და უზრუნველყოფს აუცილებელ მენტორობას იმისათვის რომ დავრწმუნდეს თუ რამდენას სწორად ასრულებდეს სტუდენტი მის როლს აღნიშნულ პროექტში. შინაარსი, სწავლების მეთოდოლოგია და შეფასება კოორდინირებულია კვლევის მეთოდების სპეციალისტის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ჩატარებული კვლევის ხარისხზე. პროექტის მენეჯმენტის სპეციალისტი კი პასუხისმგებელია სტუდენტის ქცევაზე დავალებული პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაზე. ეს კურსი მყარ გამოცდილებასა და საფუძველს უქმნის სტუდენტს

სამაგისტრო ნაშრომისათვის, ბიზნესთან დაკავშირებული კვლევითი პროექტის, სამაგისტრო ნაშრომის ბოლო ეტაპისთვის მზადებაა. სამაგისტრო ნაშრომი სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს კომპონენტი მოიცავს კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების პროცესს და ეტაპებს და იყენებს თანამედროვე პროგრამულ უზრუნველყოფას დასკვნების ანალიზისთვის. იდეალური ნაშრომი არის ის, რომელიც შეთანხმებულია სტუდენტს, უნივერსიტეტსა და ბიზნესს შორის. ჩვენ გვჯერა, რომ კონსულტაციისა და პროექტების მიწოდების კურსი არის შესანიშნავი მომზადება მაღალი ხარისხის სამაგისტრო ნაშრომისთვის, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას რეალურ ბიზნეს პრობლემაზე. სამაგისტრო ნაშრომის დროს სტუდენტები იმუშავებენ დამოუკიდებლად აკადემიური ხელმძღვანელისა და ბიზნესის კონსულტანტის მეთვალყურეობის ქვეშ, რათა წარადგინონ ღირეული ანალიზი, პრობლემიც გადაჭრის გზა და რეკომენდაციები დასმული პრობლემის შესახებ.

არჩევითი კურსები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა სთავაზობს არჩევით კურსების ფართო სპექტრს, რომელიც უზრუნველყოფს უფრო ფართო და სპეციფიურ ცოდნას აქტუალური საკითხებისა და პრობლემების შესახებ, ასევე კონკრეტულ უნარ-ჩვევებს ცოდნისა და უნარების მხარდასაჭერად. პროგრამა თანამშრომლობს უნივერსიტეტში არსებულ სამაგისტრო პროგრამებთან და სთავაზობს არჩევით საგნებს ფინანსების, ადამიანური რესურსებისა და სამართლის მიმართულებით არსებული სამაგისტრო პროგრამებიდან. ასევე პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს კურსებს მენეჯმენტსა და ადმინისტრირებაში, რომლებიც დაეხმარება შესაბამისი ადგილობრივი და ასევე გლობალური საკითხების შესწავლაში, რომლებიც დაკავშირებულია მწვანე დღისწესრიგთან კლიმატის ცვლილებასთან, გლობალური რესურსების ამოწურვასთან, ახალი პროდუქტის განვითარებასთან და ა.შ.

მეორე სემესტრის ბოლოს გაიმართება სტუდენტური კვირეული, სადაც სეუ-ს პროგრამის აკადემიური პერსონალი წარადგენს არჩევით საგნებს, რომელიც შემოთავაზებული იქნება მესამე სემესტრში. სტუდენტებს შეეძლებათ გამოკითხონ პერსონალი და შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება მათ პირად საჭიროებებს. სეუ-ს საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური გაავრცელებს საერთაშორისო უნივერსიტეტების დეტალებს (რომლებიც SEU-ს პარტნიორები არიან), რომლებიც მოიცავს კურსებს, რომლებიც შეიძლება ჩათვლილი იქნეს პროგრამაზე. საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური ასევე სტუდენტებს დაეხმარება ყველა ბიუროკრატიულ პროცედურაში, რათა სეუ-ს სტუდენტებს საშუალება მისცეს დაესწრონ მათ მიერ არჩეულ კურსებს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში.

ექვს სიგმა სერთიფიკატთან შესაბამისობა

ექვსი სიგმა არის პროცესი, რომელიც ეხმარება კომპანიას პროცესის ოპტიმიზაციაში და მისი ეფექტურობის მიღწევაში. წამყვანი კომპანიები მთელ მსოფლიოში დაინტერესებულები არიან ამ პროცესით, მათ სურთ მისი საშუალებით გაზარდონ მოგება და შეამცირონ სამეწარმეო ხარვეზები. ექვსი სიგმას სერთიფიკატები გაიცემა სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ, როგორიცაა American Society for Quality, International Six Sigma Institute, Lean Six Sigma Institute და სხვა, ისევე უნივერსიტეტებს სხვადასხვა ქვეყნებში აქვთ შესაბამისი სასწავლო კურსები და გასცემენ ამ სერთიფიკატებს. სერტიფიკატის მიღება შესაძლებელია ასოცირებულ დაწესებულებებთან გამოცდის ჩაბარებით, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია ონლაინ ფორმატში.

სერთიფიკატი ადასტურებს პროფესიონალის უნარს, დაადგინოს რისკები, ხარვეზები და შეცდომები ბიზნეს პროცესში და აღმოფხვრას ისინი. ექვსი სიგმის სერტიფიკატს აქვს შემდეგი დონეები: თეთრი ქამარი, ყვითელი ქამარი, მწვანე ქამარი, შავი ქამარი და მთავარი შავი ქამარი.

თეთრი ქამარი მოიცავს ექვსი სიგმის ძირითად პრინციპებს, რომლებიც მხარს უჭერენ ცვლილებებს ორგანიზაციაში და მათ მართვას. ამ დონეზე პროფესიონალი ავლენს პრობლემების გადაჭრის უნარს ადგილობრივ გუნდში ჩართულობით მცირე პროექტებში. ჩვენს პროგრამაში ეს უნარები მიიღება ორგანიზაციული განვითარების სავალდებულო სასწავლო კურსის ფარგლებში.

ყვითელი ქამარი არის დონე, რომელიც მოიცავს ექვსი სიგმის ძირითად სპეციფიკას, როგორ და სად გამოიყენება იგი. პროფესიონალს შეუძლია მხარი დაუჭიროს პროექტის გუნდებს საჭირო ცვლილებების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჩვენს პროგრამაში ეს უნარები მიიღება ოპერაციული სრულყოფილებისსავალდებულო სასწავლოკურსის ფარგლებში.

მწვანე ქამარი წარმოადგენს მოწინავე ანალიზის უნარის დასტურს, რომელიც პროფესიონალს საშუალებას აძლევს გადაჭრას პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხარისხთან და მის მართვასთან. მწვანე ქამრების მფლობელები ხელმძღვანელობენ პროექტებს ორგანიზაციებში და ეხმარებიან შავი ქამრების მფლობელებს. ჩვენს პროგრამაში ეს უნარები მიიღება **ექვსი სიგმის მწვანე ქამრის** არჩევითი კურსის ფარგლებში.

შავი ქამარი ადასტურებს ცვლილებების აგენტების ექსპერტების უნარებს, შავი ქამრის მფლობელი პროფესიონალები უზრუნველყოფენ ტრენინგებს და ასევე უძღვებიან წამყვან პროექტებს. **ოსტატი შავი ქამარი** არის მიღწევების უმაღლესი დონე, სადაც პროფესიონალს შეუძლია ჩამოაყალიბოს სტრატეგია, განავითაროს ძირითადი საზომი მატრიცა, იყოს კონსულტანტი და მწვრთნელის კანდიდატი ქვედა ქამრებისთვის.

ჩვენი პროგრამა ისწრაფვის სრულყოფილებისკენ, იგი არის ორგანული განვითარებადი პროგრამა. ამიტომ ვგეგმავთ არჩევითი საგნების არჩევანის გაფართოებას, რათა მომავალში სტუდენტებს შევთავაზოთ შავი ქამრის მოპოვების შესაძლებლობაც.

SEU ტექ და სამეწარმეო ლაბორატორია

უნივერსიტეტში არსებობს ტექ და სამეწარმეო ლაბორატორია, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს ინოვაციებისა და ახალი პროდუქტების განვითარების უნიკალურარჩევით კურსს.ამ კურსის ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ საშუალება არა მხოლოდ გაეცნონ ინოვაციის პროცესს, არამედ პრაქტიკულად გაიარონ პროდუქტის განვითარების ყველა საფეხური, შექმნან პროტოტიპი და მზა მოდელი ინვესტორებისთვის. კურსის სხვადასხვა კომპონენტის შეფასებას დამატებით ახორციელებენ კურსში ჩართული პრაქტიკოსები.

არჩევით კურსებს შორის პროგრამა ასევე სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო დაბეგვრის კურსს, რომელიც იყენებს გრანტ თორნტონის გუნდის მიერ მოწოდებულ კომპანიების რეალურ საგადასახადო საქმეებს. შესაბამისად, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. კურსის ფარგლებში განიხილება გრანტ თორნტონის მიერ წარმოდგენილი რეალური შემთხვევები და სტუდენტებს საშუალება მიეცემნათ დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია დაბეგვრის პრინციპებთან დაკავშირებით ლექციაზე განხილული თეორიული მასალის საფუძველზე.

პროგრამა ასევე ტექ და სამეწარმეო ლაბორატორიასთან თანამშრომლობით სტუდენტებს სთავაზობს პრაქტიკულ არჩევით კურსებს, მათ კოორდინაციას უწევს ტექ და სამეწარმეო ლაბორატორია მენტორებისა და ინდუსტრიის პრაქტიკოსების მეშვეობით, რომლებიც მიზნად ისახავს არჩევანის კონკრეტული პრაქტიკული უნარების განვითარებას. აკადემიური ხარისხი და სწავლების მეთოდოლოგია უზრუნველყოფილია თავად პროგრამის აკადემიური პერსონალით.კურსის სხვადასხვა კომპონენტის შეფასებას დამატებით ახორციელებენ კურსში ჩართული პრაქტიკოსები.

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის **მთავარ უპირატესობად** სტუდენტებისთვის კავშირების გაფართოების საშუალების მიცემა ითვლება. ბიზნეს ადმინისტრირების ჩვენი სამაგისტრო პროგრამა საქართველოს მასშტაბით განსხვავებული ინტერესების მქონე სტუდენტების მოზიდვას გეგმავს. საერთაშორისო გამოცდილება სტუდენტებს მრავალკულტურული გარემოს შექმნის შესაძლებლობას მისცემს, რომელიც სხვადასხვა კუთხის ადამიანებს მათი იდეების, აზრებისა და მიზნების გაზიარების საშუალებას მისცემს.

პროგრამაზედაშვებისწინაპირობები

ჩარიცხვის პირობები:

ბიზნესსა და მრეწველობაში დასაქმებულ ადამიანებს მრავალფეროვანი პროფილი გააჩნიათ. თანამედროვე დასაქმების სააგენტოები გონებაგახსნილ კურსდამთავრებულებს ეძებენ. სეუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნები დამოუკიდებელი აზროვნების უნარის მქონე სტუდენტებს მოიაზრებს, რომელთაც კრიტიკული ანალიზის, მიკერძოების იდენტიფიცირებისა და ახალ პრობლემებთან გამკლავების უნარი გააჩნიათ. შესაბამისად, პროგრამა ბაკალავრის ხარისხის მქონე ნებისმიერი სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია, ვინაიდან ძირითადი და სავალდებულო კურსები დამოუკიდებელი აზროვნების, სწავლისა და კვლევის ძირითად ასპექტებს ავითარებს და სტუდენტებს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევის საშუალებას აძლევს. ბიზნესის სფეროში გამოცდილების მქონე დასაქმებულებს და მენეჯერებს კარიერაში წინსვლის მიზნით შეუძლიათ პროგრამით სარგებლობა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრისანმასთანგათანაბრებულიაკადემიურიხარისხისმქონეპირს, რომელიცჩაირიცხებაერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მიერ დადგენილი წესით სპეციალობაში და უცხო ენაში (ინგლისური) [1] მისაღები გამოცდის ჩაბარების შედეგად. უცხო ენაში კომუნიკაციის კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით.

საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

[1]უცხო ენის ტესტირებისგან განთავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც შესაბამის ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხური.

ბ1) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ე)უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გარეშე გათვალისწინებული პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩაატაროს გასაუბრება და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეო ჩანაწერის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა.

მობილობის წესით ჩარიცხვა

სამაგისტრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუსშეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

სამაგისტრო საფეხურისსტუდენტთათვის სწავლების ორგანიზება

სამაგისტრო საფეხურის აკადემიური ცხოვრება საბაკალავრო დონესთან შედარებით, შესაძლოა საკმაოდ ინტენსიური აღმოჩნდეს. სწავლების მეთოდოლოგია კურსის შინაარსსა და ლექტორზეა დამოკიდებული, თუმცა ავტონომიური სწავლის მნიშვნელოვანი წილი მაინც სტუდენტზე მოდის. მეორე მხრივ, სწავლის პროცესის გულმოდგინედ შერჩეული მხარდამჭერი მექანიზმები თითოეულ კურსზე უზრუნველყოფილია, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სწავლების მიზნები, შესაფერისი ქცევა, კონსტრუირებული აქტივობები, სტუდენტის მიერ წარმართული დისკუსიები, თანატოლთა სწავლება და შესრულების კონტროლი.

ჩვენი პროგრამის **აკადემიური და მოწვეული პერსონალი** შესაბამისი სწავლის, სწავლებისა და ახსნის უნარების მქონე გულმოდგინედ შერჩეული დარგის სპეციალისტებისგან შედგება. პერსონალი მზადაა იყოს როგორც მენტორი და მეგზური სწავლაში სტუდენტებისათვის. ველა თანამშრომელი მოწოდებულია წაახალისოს სტუდენტები დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაში, რაც თავისთავად გულისხმობს შეცდომების დაშვებას. ეს დასაშვებია იმის გაგებით, რომ მოსწავლეები სწავლობენ შეცდომებზე და არ იმეორებენ მათ. შეფასების პროცესი ისეა შემუშავებული, რომ უზრუნველყოს ამის ასახვა.იგი შედგება სამი ეტაპისგან: პრობლემის იდენტიფიცირება, პრობლემის კონტექსტი და მოწოდებული გადაწყვეტის ასახვა.

